

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 12

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

9 ოქტომბერი 2019 წელი
14 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, თამარ შენგელია, ოლეგი მიქელთაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებების და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გიორგი ივანიძე

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებების და ჯილდოებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი საკითხის მიმართ და მათი ვარაუდით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დებულება ჩასწორდეს საპატიო ვანელით და დამსახურებული მოღვაწის სტატუსით.

ჩვენი აზრი გაუზიაროთ ბიუროს წევრებს და უფრო ვრცლად ვიმსჯელოთ ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება წარმოდგენილი საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის თავმჯდომარე